საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა.)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

პარასკევი, 12 ნოემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 200 მან.

ფასი 10 მან.

№ 92 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტებისა. № 92

## ძველი დრო

თანამედროვე გაფთრებული ბრძოლა უკეთესი მომავლისათვის ძალიან ცოტა დროს აძლევს უმთავრეს მებრძოლ ძალას—პროლეტარიატს უკან მოიხედოს და გავლილი გზის გათვალისწინებით მომავალი გზის მანძილიც გამოიანგარიშოს. მაგრამ ეს შედარება წარსულისა მომავალთან იმდენათ მნიშვნელოვანი და სასარგებლოა თვით ბრძოლის პროცესისათვის, რომ პროლეტარიატს განსაკუთრებული დღეები აქვს ამისთვის გადადებული და ერთი ასეთი დღეა პროლეტარული რევოლუციის წლის თავი.

ძველი დრო აღარ დაბრუნდება. აი ის უტყუარი დებულება, რომლის ჭეშმარიტება ერთი უკან მოხედვით აშკარავდება დღეს არა მარტო პროლეტარიატისთვის, არამედ მის მოწინააღმდეგე მტრის—ბურჟუაზიისთვისაც. ის, რასაც ბურჟუაზია წინათ ბოლშევიკურ ავანტიურას უწოდებდა, დღეს იძულებულია ჩვენთან ერთად ოქტომბრის დიდ რევოლუციას უწოდოს და იგი თვით საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე მაღლა დააყენოს. რუსული გაზეთი „სლოვო", — ეს მსხვილი სპეკულიანტების ორგანო, რომელიც ყბად-აღებულ „დემოკრატიასაც" კი არასოდეს არ გაარშიყებია, ახლა იძულებულია ოქტომბრის რევოლუცია ასეთი სიტყვებით დაახასიათოს: „მან დასწვა თავის ცეცხლში ყოველივე შესაძლებლობა ძველი დროის მობრუნებისა, და ამ აზრით შეასრულა თავისი ისტორიული მისია".

ძველი დრო აღარ დაბრუნდება—აი ის საერთო აზრი, ერთნაირათ აღიარებული ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის მიერ, რომლის გამტკიცებას დასჭირდა სამი წლის გრანდიოზული ბრძოლა. აღარ დაბრუნდება ძველი დრო მონობისა, ჩაგვრისა და ყვლეფისა, აღარ დაბრუნდება ბურჟუაზიის ბატონობა და მასთან დაკავშირებული ცხოვრების ყოველგვარი სიდუხჭირე. ძირიან-ფესვიანათ შეირყა ძველი ქვეყანა და მისი აღდგენა აღემატება ამ ქვეყნიურ ძალას.

რასაკვირველია, ამით არ გათავდება ბრძოლა. განა ცოტაა ისეთი შემთხვევა, რომ ავადმყოფმა იცის დანამდვილებით თავისი სიკვდილის დღე და მაინც სულის ამოხვლის უკანასკნელ წუთამდე იბრძვის თავის სიცოცხლის გახანგრძლივებლათ. სანამ სავსებით არ ჩამქრალა მასში სიცოცხლის ინსტინქტი, ის აიძულებს მას მწარე წამლებით მოაწამლოს უკანასკნელი წუთები და ერთგვარი იმედით უყუროს ყოველ შემდეგ წუთს.

დღეს მსოფლიო ბურჟუაზიაც ასეთი ავადმყოფის დღეშია. მას ჯერ აქვს იმედი თავის გადარჩენისა მით უფრო ცხარე საშუალებებს მიმართავს იგი თავისი სულთმობრძავი მდგომარეობის გასამტკიცებლათ. არ მოიპოვება ისეთი საშუალება, რაც გინდ ველური და ბარბაროსული იყოს იგი, რომელსაც მან არ მიმართოს მისი შესაფერი ახალი ძალის შესაჩერებლათ.

ბურჟუაზიამ შეიგნო თავისი აღსასრულის მოახლოება, მაგრამ მით უფრო მჭიდროთ ეჭიდება საბრძოლველ იარაღს და ვერც დააგდებს მას, სანამ ახალი ძალის ბატონობა საბოლოვოთ არ განმტკიცდება. აქამდე თუ სადავო იყო ახალი ძალის გამარჯვება ძველზე, ახლა სადავოა ის, შეძლებს თუ არა ეს ახალი გამარჯვებული ძალა ახალი ცხოვრების მოწყობას.

რასაკვირველია, პროლეტარიატისთვის ეს კითხვაც დიდი ხანია დადებითად გადაწყვეტილია და ობიექტიურათაც კაცობრიობას სხვა გზა არა აქვს, თუ არა ის, რომ პროლეტარიატის ხელით ააშენოს ახალი ცხოვრება. მაგრამ ეს ახალი ცხოვრებაც ისეთსავე საყოველთაო ფაქტათ უნდა იქცეს, როგორიც პროლეტარიატის გამარჯვება ბურჟუაზიაზე. ამას კი დიდი დრო დასჭირდება და წინ და წინ არ შეიძლება იმის თქმა, თუ როდის დადგება იგი.

დღეს კი საყოველთაო ფაქტია, რომ ძველი დრო აღარ დაბრუნდება და ამ ფაქტიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ახალი ცხოვრება უკვე დაწყებულია.

## რა გამოირკვა?

ასეთი აუტანელი დევნა-შევიწროების დროს, რომელშიაც იმყოფება ჩვენი პარტია, ჩვენ თავს ნება მივეცით საჯაროთ გვეწარმოებია დისკუსია, რომელსაც უნდა გამოერკვია მიზეზები ჩვენი პარტიული მუშაობის შეფერხებისა. ამტყდარი კამათი დღეს დასრულებულათ უნდა ჩაითვალოს, რადგან ამხანაგების საკმაო რიცხვმა გამოსთქვა თავისი აზრი და ჩვენ შეგვიძლია დასკვნები გაუკეთოთ იმ აზრთა გაზიარებას, რომელიც შესაძლოა ბევრმა ამხანაგმა შექმნილ პირობებში ზედმეტ ფუფუნებათაც კი მიიჩნია.

რა გამოირკვა ამ დისკუსიით?

გამოირკვა პირველ ყოვლისა ის, რომ ჩვენს პარტიაში ადგილი არა აქვს რაიმე აზრთა სხვა და სხვაობას პრინციპიალური საკითხების შესახებ. საერთო კანონი, რომ მთელი ქვეყნიერების კომუნისტური პარტია გამსჭვალულია ერთი და იმავე აზრით, ერთი და იმავე მისწრაფებით, რომ მასში დაცულია იდეათა სისტემის მთლიანობა, აზროვნების დისციპლინა იმ სახით, როგორიც არ მოიპოვება არც ერთ სხვა პარტიას დედამიწის ზურგზე,—ეს კანონი ჩვენს პარტიაშიაც, როგორც მთელის განუყოფელ ნაწილში, ცხადათ პოულობს სრულ თავის გამოხატულებას. ჩვენ რევოლუციონური პარტია ვართ და თანამედროვე რევოლუციონურ ხანაში გათვალისწინებული გვაქვს ჩვენი უახლოესი მიზნები. ჩვენში იმ მოვლენასაც არ აქვს ადგილი, რომელსაც ამხ. ლენინმა მემარცხენეობის საყმაწვილო სენი უწოდა და რომელმაც თავი იჩინა სხვა და სხვა ქვეყნის ზოგიერთ ახლათ ჩამოყალიბებულ კომუნისტურ პარტიებში.

გამოირკვა, რომ უმთავრესი და შეიძლება ერთათ-ერთი მტკივანი ადგილი ჩვენი პარტიისა მისი საორგანიზაციო აპარატის სისუსტეა და აქეთ უნდა იყოს მიმართული მთელი ჩვენი ყურადღება.

ეს საერთოთ. ყოველი მოკამათე ამხანაგი, რასაკვირველია, თავისი პირადი პასუხისმგებლობით აყენებდა ამა თუ იმ დებულებებს და საჭირო არ არის მათზე ვრცლათ შეჩერება. შევეხებით მხოლოთ ერთ მათგანს, რომელსაც ყველაზე მეტი საჭიროროტო მნიშვნელობა აქვს დღეს ჩვენთვის. ეს დებულება წამოაყენა ამხ. რ. კ.-მ და მდგომარეობს იმის მტკიცებაში, რომ ხალხს დავშორდით.

რა აზრით უნდა გავიგოთ ჩვენ ეს სიტყვები? არის ეს უსიამოვნო სინამდვილის აღნიშვნა, თუ ერთგვარი გადამეტება, კრიტიკის დროს ხშირათ აუცილებელი გადაჭარბება, ასე ვთქვათ—გადაუხრელი ჯოხის მეორე მხარეს გადაზნექა?

თუ ვიგულისხმებთ, რომ ჩვენს პარტიას მართლა პარტიობით ათავსებენ ციხეებში და აგზავნიან საზღვარ-გარეთ, რაიცა შეუძლებელსა ხდის ამ უკანასკნელთათვის ხალხთან უშუამავლო კავშირის დაჭერას, უნდა ვსცნოთ, რომ ხსენებული დებულება სიმართლეს გამოხატავს. მაგრამ აქ საკითხავია, ივსება თუ არა ბრძოლის ველზე დაცემულ, გადასახლებულ და დატუსაღებულ ამხანაგის მიერ დაცლილი ადგილები ახალი ძალებით და ამავე დროს სჭიობობენ თუ არა ახლათ შემატებული ძალები დროებით დაკარგულ და გამოთიშულ ძალებს? პარტია, როგორც ყოველი სასიცოცხლო არსება, მუდმივ ზრდასა და განვითარებაში უნდა იყოს და ის პარტია, რომელიც ამ პროცესს არ განიცდის, რაც უნდა მჭიდროთ იყოს დაკავშირებული ხალხთან, საბოლოვოთ მაინც განწირულია.

როგორ არის ამ მხრით ჩვენი პარტიის საქმე? ცხადია, რომ არსებული პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა მასიურათ ერეკება ჩვენს პარტიაში ხალხის მშრომელ ნაწილს. ამით აიხსნება ის შეუწყვეტელი რეპრესიები, რომლებიც უფრო აძლიერებენ ხალხის დაკავშირებას სწორეთ ჩვენს პარტიასთან. ერთათ ერთი იმედი სულ უფრო და უფრო რევოლუციონურათ განწყობილი ხალხისა ჩვენი პარტიაა და ამ იმედს და ჩვენსკენ მომართულ მისწრაფებას მასში ვერ აღმოფხვრის მოწინააღმდეგე ძალა, ისე როგორც იგი ვერ შესცვლის ქვეყნის კატასტროფიულ მდგომარეობას. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს პარტიაში შემომსვლელთა რიცხვი განუწყვეტლათ იზრდება, რამაც ზედმეტათ უნდა აანაზღაუროს ყოველდღიური მსხვერპლი და დანაკარგი ჩვენი ორგანიზაციებისა. სხვანაირათ რომ ვსთქვათ, საიმედოა ურთიერთობა პარტიის ხარჯებსა და შემოსავალს შორის, მის ყოველდღიურ შემოსავლის და გასავლის შორის.

მაგრამ აქ არ უნდა დავივიწყოთ ერთი გარემოება, რომელიც მიუხედავათ აღნიშნულ ურთიერთობის ასეთი ხელსაყრელობისა, მაინც იწვევს პარტიულ მუშაობის შეფერხებას და მისი ტემპის მოდუნებას. საქმე იმაშია, რომ მთავრობის რეპრესიები თავს ატყდება უფრო ენერგიულ, თავდადებულ და რაც უფრო მნიშვნელოვანია—უფრო გამოცდილ ამხანაგებს. მათი გამოთიშვით არევდარევაში მოდის პარტიული აპარატი, რომელიც ველარ ახერხებს სასწრაფოთ მოახდინოს ძალთა გადაჯგუფება და „განთავისუფლებულ" პოსტებზე ახალი ძალები ჩააყენოს. და ეს უკანასკნელი მით უფრო ძნელი შესასრულებელია, რომ გამოცდილ და თან რეპრესიებს გადარჩენილ ამხანაგების რიცხვი სულ მცირეა, ხოლო ახალ ძალებში მათი გამოძებნა ხშირათ მეტისმეტათ ძნელია. აქედან წარმოსდგება ის მდგომარეობა, რომ ჩვენი პარტია რაოდენობით მატულობს და თვისებით კი ვერა.

სწორეთ ეს მდგომარეობაა დასაძლევი და როდესაც ჩვენ მას დავსძლევთ, ადგილი არ ექნება ისეთ პესიმისტურ ამოძახილს, რომ ჩვენ ხალხს დავშორდით.

რით შეიძლება ამ მდგომარეობის დაძლევა? ყველა მოკამათე ამხანაგები ერთხმათ უთითებენ იმ გამოსავალზე, რომელიც შექმნილ პირობებში ჩვენთვის არსებობს: ეს არის გაცხოველებული ორგანიზაციული მუშაობა, უფრო მჭიდრო დაკავშირება, უფრო მტკიცე ორგანიზაციები. სიმზდი მხოლოთ ერთი აუცილებელი სახეა ამ ორგანიზაციული მუშაობისა და მას მხოლოთ მაშინ ექნება მნიშვნელობა, თუ წინ უძღვის შესაფერი იდეური მუშაობა პარტიულ მასსაში. ორგანიზაცია მარტო ორგანიზაციისთვის არ შეიქმნება, მას შინაარსით უნდა დაედოს პოლიტიკურ-ტაქტიკური კითხვების აწონდაწონვა, და ცხოვრებაში გასატარებლათ მათი ასეთი თუ ისეთი გადაწყვეტა.

მოკლეთ რომ ვთქვათ, გამოირკვა, რომ პარტიულ მუშაობის გაცხოველების საკითხი სავსებით მომწიფებულია და მიუხედავათ საერთო მძიმე პირობებისა, სავსებით შესაძლებელია მისი სასურველათ გადაწყვეტა.

ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ ამ მხრით შესაფერ ზომებს მიიღებენ როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ორგანიზაციები.

## ადგილობრივი პრესა.

გაზ. „ერთობა" ქემალისტების მოძრაობის შეფასების გამო წინააღმდეგობაში იჭერს ქართულ და რუსულ „კომუნისტს":

„მაშ ასე: ქართული „კომუნისტი" შიშს! გამოსთქვამს, რომ ქემალ-ფაშა შეუერთდება ანტანტას და იმპერიალისტურ გზას დაადგება, რუსული „Коммунист"-ი კი უარყოფს მის იმპერიალისტურ განზრახვებს. რომელ ერთს დაუჯეროს საქართველოს დემოკრატიამ, რომელსაც მიმართავენ ქართული და რუსული გაზეთიც?"

ქართული „კომუნისტის" მოსაზრების საწინააღმდეგოთ არაფერი აქვს სათქმელი „ერთობას", რომელიც ამტკიცებს, რომ „კომუნისტებსა და ქემალისტების შუა შავმა კატამ გაირბინაო". იგი არ ჩაჰკვირვებია მხოლოთ ჩვენს მსჯელობას, რომელიც შესაძლებლათ აღიარებდა შემდეგს: „რა გასაკვირველი იქნება, თუ ახლათ ფეხ-ადგმული ნაციონალური მოძრაობა ოსმალეთისა თავისი კალთაპოტიდან ამოაგდოს იმავე ანტანტამ და იგი ან მარტოთ მარტო, ან რომელიმე მეორე ძალასთან ერთად გახადოს თავისი ინტერესების აგენტათ როგორც მცირე აზიაში, ისე ამიერ კავკასიაში."

ამ შესაძლებლობის შესახებ „ერთობა" კრინტსაც არა სძრავს და ყელში სწვდება რუსულ „კომუნისტს", რომელიც ეხება არა ქემალისა და ანტანტის ურთიერთობის საკითხს, არამედ ქემალისა და საქართველოს შორის მოსალოდნელ ურთიერთობას. რუსული კომუნისტის აზრით, „არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიკითხოთ, რომ ქემალ-ფაშას რაიმე აგრესიული განზრახვები აქვს საქართველოს მიმართ."

რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ანტანტა ეპოტინებოდეს თავის გავლენის ქვეშ დააყენოს ოსმალეთის ნაციონალური მოძრაობა და ამას შეუერთოს რომელიმე მეორე ძალა ამიერ კავკასიაში და ამავე დროს წარმოვიდგინოთ, რომ ქემალი არ იყოს დაინტერესებული საქართველოს დაპყრობაში? „ერთობა" ალბათ ფიქრობს, ვინც ანტანტას დაუმეგობრდება, ის იმპერიალიზმს უარყოფს. [illegible] კომბინაციას, ეს რომ ასე იყოს?

## საბჭოთა რუსეთის პრესა

### ახალი ქვეყანა

ახალი ქვეყნები ხან და ხან გრანდიოზულ კატასტროფებიდან წარმოიშობა ხოლმე. მაგრამ იხეც მოხდება, რომ იგი, ახალი ქვეყანა პატარ-პატარა ნაწილების დაგროვებით დგება. ასე წარმოიშვენ, მაგალითათ, კორალის კუნძულები. სადღაც ზღვის ძირზე გდებულ ქვაზე მიეწებენ თვალით შეუმჩნეველი ინფუზორიები. შემდეგ ეს ინფუზორიები უშვებენ თავის სტომაქიდან კირის ნაწილებს, რომლებიდანაც დროის განმავლობაში იზრდება კლდე. უკანასკნელი თავის თავად იზრდება წყალში, ფართოვდება, მოეზიდება ზევით, სანამ ზემოთ არ მოევლინება—მოექცევა ზღვის ტალღებს. ასეთი თანდათანობით იქმნება ახალი ქვეყანა. ძლიერია მისი მტერი—ოკეანე, მაგრამ ახალი ქვეყნის კალატოზები თავისი მწყობრობით და შეუპოვარი შრომით იმარჯვებენ.

თუმცა ისიც მართალია, რომ მცირე ელემენტების დაგროვებიდან კატასტროფის გამოყოფა შეუძლებელია. ბოლოს და ბოლოს წვრილ თანდათანობრივი ნაწილების დაგროვება მძაფრ გადახრას იწვევს, ეგრეთ წოდებული ევოლუცია რევოლუციით თავდება.

ყველა ეს აზრები ბუნებრივათ მოგვდის თავში, როდესაც უკვირდები ყოველივე მას, რაც ხდება ამ ქვეყანაზე. ხან იქ ხან აქ, დედა მიწის სხვა და სხვა კუთხეებში წარმოიშვება ხოლმე ახალი ქვეყანა, გამოკიაფდება პირველყოფილი ქაოსიდან ახალი საზოგადოება და ეს ახალი საზოგადოებები იბადებიან და ჩნდებიან არა მარტო ობოლ წერტილებათ, რომელსაც ვერ შენიშნავთ ზერელე დაკვირვებით, არამედ ხშირათ ისეთ ზვავათ ჩნდება, რომ მისი დანახვით ბევრს ეკარგება ფერი. მშრომელი მასსებს ყოველმხრიდან მოაქვთ ქვიტკირი და უმკვიდრებენ საძირკველს ახალ საზოგადოებას, და, მიუხედავათ იმისა რომ მტრული სტიქია საშინლად ებრძვის ახალ წარმოშობილ ქვეყანას, მისი კედლები სულ მაღლა-მაღლა მიიწევს. მას ვამჩნევთ არა მარტო ჩვენ, მას ხედავენ იმ ძველი ქვეყნის წარმომადგენლებიც, რომელიც განწირულია სასიკვდილოთ და რომელიც აკანკალებული ხელებით ცდილობს შეაჩეროს ახალი ქვეყნის შეუჩერებელი ზრდა.

ჩვენ არ ვლაპარაკობთ საბჭოთა რუსეთზე, რომელიც ვულკანისებურ ამოფრქვევის პროცესში წარმოიშვა და მყისვე გასაკლდევდა, რომლის რკინის კედლებზე საცოდავათ იმსხვრევენ ცხვირ-პირს ძველი ქვეყნის წარმომადგენლები. მაგრამ სხვა და სხვა ქვეყნებში სულ სხვა და სხვა გზით, სხვა მეთოდებით, სხვა ფორმებში ყალიბდება ახალი ქვეყნის ელემენტები. მაგრამ ქვესკნელის ცეცხლის მოულოდნელ მოქმედებათა გვერდით, ნელათ, მაგრამ უფრო ნაყოფიერათ სწარმოობს წყლის მუშაობა, ხდება ზრდა-შეკორძება კომუნისტური ქვაკირის მრავალი პროლეტარული ინფუზორიებით. ხან და ხან ეს ქვესკნელის წყნარი მუშაობა საკმაოთ მქუხარე აფეთქებებით ამოხეთქავს ხოლმე, რაც მომასწავებელია მოახლოვებულ კატაკლიზმის და საყოველთაო მიწის ძვრისა. მაგრამ მუშაობა შეურყევლათ სწარმოებს, ახალი ქვეყნა მოიპოვებს სქელ ნისლს და გვიახლოვდება.

თუ გნებავთ გადახედეთ: მშრომელთა მილიონები, რომლებიც აგერ ახლამდის სხვისი ნების ბრმა იარაღები იყვენ, ამჟამათ, თუ როგორ იჩენენ საკუთარ ნებას და როგორ აღშფოთებას უძლევიან იმ ლოთონის კომბალის წინააღმდეგ, რომლითაც მათ სტუქსავდენ და აშოშმინებდენ მათი გულქვა მწყემსები. ახლა დღემდის ამ დაჩაგრულებს სურთ არა თუ საკუთარი მსჯელობა იქონიონ, არამედ სურთ კიდეც შექმნან ახალი ქვე-

ყანა თავისი გემოვნებაზე. ისინი ქმნიან სახელმწიფოს თვით სახელმწიფოში და თავისი საიდუმლო თუ ცხადი ორგანიზაციებით თითო აგურის დადებით აშენებენ მომავალი შრომის სამეფოს შენობას. ინგლისში ისინი „ქმნიან" მოქმედების კამიტეტებს და მით საფუძველს უყრიან ახალ საერთაშორისო პოლიტიკას.

გერმანიაში თავისი ნებით ხვდებიან მატარებლებს და ანადგურებენ იარაღებს და იმ სამხედრო მასალას, რომლებიც იგზავნება პოლონეთისთვის. იტალიაში ისინი იპყრობენ ფაბრიკა-ქარხნებს და საძირკველს უყრიან მომავალ კომუნისტურ წესწყობილებას. ყოველგან და ყოველგვარ ხახით სწარმოებს ეს რღვევის პროცესი, რომელიც ამავე დროს საამშენებლოც არის, ვინაიდან მისი (ამ რღვევის) დასრულების შემდეგ შეიძლება მხოლოდ ახალი ქვეყნის წარმატებით შენება.

კაპიტალისტური ოკეანე კიდევ ღელავს. ხან და ხან კიდეც ჩამოხეთქავს ხოლმე დიდ ნაფლეთებს მშრომელთა მიერ ვაი ვაგლახით შექმნილ შენობას და იმორჩილებს რა მას, სპობს, ანადგურებს (როგორც, მაგ., გაანადგურეს უნგრეთის და ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკები). ძველი ქვეყანა მუდმივ იმის ცდაშია, რომ არბიოს საბჭოთა რუსეთის სანაპიროები; ხშირათ ის კიდეც ახერხებს წალეკოს ზოგი მისი (საბჭოთა რუსეთის) კუთხე თავისი ბინძური ტალღებით. მაგრამ ამაოა ყოველივე მისი შური და სიმკაცრე. მიწა სულ ზემოთ მიიზიდება და ახალი ქვეყანა სულ უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება რევოლუციის კიბეში. მსოფლიო პროლეტარიატი თავის მუშაობას დაუღალავათ განაგრძობს. მალე მინელდება ბოროტი სტიქია, იგრძნობს თავის უსუსურობას. იგი აიკრავს ბარგს და გაიპარება ადამიანთა ქმნულ ქვეყნის საზღვრებიდან.

**სტეკლოვი.**

გაზ. „იზვესტია" № 204.

# ბიულეტენი პრესბიუროსი

## რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

(რადიოთი მოსკოვიდან, ნაუენიდან, ლიონიდან და სხვ. და პირდაპირი მავთულით კავკავიდან და ბაქოდან).

## საზღვარ-გარეთ

**გუნარისის დაბრუნება საბერძნეთში.**

**კონსტანტინოპოლი.** 25 ოქტ. გაზეთ „პრეოდეს"-ის ცნობით, ათინის გაზეთები გადმოგვცემენ, რომ გუნარისი და მისი თანამოაზრეები მოვიდენ რომში, საიდგანაც მოკლე ხანში გაემგზავრა საბერძნეთისაკენ. საბერძნეთში მისვლისას გუნარისმა მიმართა მოწოდებით ხალხს, თავის პარტიის ახალ მიმართულების გასაცნობად. ოსმალეთის პრესა გახარებული და მადლიერია საბერძნეთის ყოფილ პრემიერზე. თითქმის ყველა კონსტანტინოპოლის ოსმალური გაზეთები ბეჭდავენ მის სურათს და ბიოგრაფიას. გუნარისის გამარჯვება, ოსმალეთის წრეების აზრით ნიშნავს ვენეზილოსის აგრესიულ პოლიტიკის დამარცხებას და ოსმალეთთან კეთილმეზობლურ განწყობილების დამყარებას.

**ოსმალეთის ხაზინის კონფისკაცია.**

**ათინა,** 25 ოქტ. სმირნიდან მოსულ სარწმუნო წყაროებიდან ვტყობილობთ, რომ საბერძნეთის უმაღლესმა კომისარმა სტერგიადისმა მოახდინა საბერძნეთის ჯარის მიერ მცირე აზიაში დაკავებულ ქალაქებში ყველა ხაზინების კონფისკაცია.

**რუს ტყვეების გაგზავნა ყირიმში.**

**ბათუმი,** 9 ნოემბ. სევასტოპოლიდან მოსულ ფრანგ მეზღვაურების გადმოცემით ყირიმში ოქტომბრის შუა რიცხვებში მარსელიდან მოვიდა ექვსი დიდი გემი სამხედრო რუს ტყვეებით.

**ქემალისტების პროპაგანდა**

**კონსტანტინოპოლი,** 25 ოქტ. „ჟურნალ დ'ორიან"-ი იტყობინება:

„ჩვენ გადმოგვცემენ, რომ ახლა ქემალი ეწევა პროპაგანდას პროვინციაში.

ანგორაში მოაწყვეს ახალი პოლიგენი ადგილობრივ ახალგაზრდობას ავარჯიშებენ იარაღის ხმარებაში.

**სპეკულიაცია და სიძვირე კონსტანტინოპოლში.**

**კონსტანტინოპოლი,** 30 ოქტ. გაზეთი „პროვოდეს"-ი შემდეგს იტყობინება:

„ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა პატრიარხის მოადგილეს განუცხადა, რომ მასზე დიდი გავლენა იქონია იმ სიძვირემ, რომელიც არსებობს ოსმალეთის დედა-ქალაქში. ამას ამტკიცებენ ყველა საზღვარ გარეთლები, რომლებიც მოდიან კონსტანტინოპოლში. ოსმალეთის სატახტო ქალაქში, სიძვირემ, ექსპლოატაციამ და სპეკულიაციამ ყოველივეს გადააჭარბა. ეს ძიძვირე კი არა, პირდაპირი ძარცვაა და უნდა მიღებულიყო ადრევე ამის წინააღმდეგ ზომები. ლარიბისათვის და ჩინოვნიკისათვის კონსტანტინოპოლში ცხოვრება აუტანელი შეიქნა. ასეთ ექსპლოატაციის წინააღმდეგ მთავრობამ უნდა მიიღოს მკაცრი ზომები, სოციალურ გადატრიალების ასაცილებლად.

**ბერძნების დაბრუნება სამშობლოში**

**კონსტანტინოპოლი,** 28 ოქტ. ათინიდან იტყობინებიან, რომ საბერძნეთის კონსულმა ნიუიორკში განუცხადა საბერძნეთის მთავრობას, რომ 2 ½ მილიონ ბერძნები უცდის გემს ამერიკიდან სამშობლოში დასაბრუნებლად. ეს გადასახლება აიხსნება იმით, რომ სამუშაო ხელფასი საბერძნეთში უფრო მეტია ვიდრე ამერიკაში.

**მცირე ანტანტის შესახებ**

**ტრაპიზონი,** 30 ოქტომ. საბერძნეთის გაზეთების ცნობით მოკავშირეებმა მცირე ანტანტა ბოლშევიკების საწინააღმდეგოთ ვერ შექმნეს. ამის შესახებ გაზ. „პროოდოს" სწერს:

„ბელგრადიდან მოსული ცნობებით მმართველ წრეებში იმ აზრის არიან, რომ მცირე ანტანტა არის იგივე სლავიანების გაერთიანება, რომელიც მიილტვის რუსეთისაკენო".

**ოსმალეთის გაუსვლელი მდგომარეობა**

**სტამბოლი,** 30 ოქტ. გაზ. „ხრონესი" სწერს:

„ოსმალეთს არ შეუძლია საზღვარ-გარეთ სესხის აღება, ვინაიდან თავისი ფინანსიური მდგომარეობით იგი არ არის თავისუფალი. მოსამსახურეები მთელი თვეობით ჯამაგირს ვერ ღებულობენ და მაშასადამე არც იქნებიან მთავრობით კმაყოფილი. დიდათ საეჭვოა, რომ სტამბოლის ახალი მთავრობა შესძლებს ამ საკითხის მოგვარებას.

მაგრამ ანტანტის საკითხი ყველაზე უფრო რთული და ძნელია, როგორც ძველი მთავრობისათვის, ისე ახლისთვის. ქემალისტები დიდი იმედის ხალხია. ქემალის პოლიტიკა ვერ ურიდგება ანტანტას და სეზავრ ხელშეკრულებებს პირობებს სრულიად უარყოფს ამას და პირიქით მათი შოვინისტური პოლიტიკა ბოლშევიკურ რუსეთთან დასაახლოვებლათ უფრო ისწრაფის."

აი ნამდვილი მდგომარეობა და გადაულახველი დაბრკოლებანი, რომლის წინაშე სდგას სტამბოლის ახალი მთავრობა".

**ანგორასთან მოლაპარაკების შესახებ.**

**სტამბოლი,** 30 ოქტომბერი. სტამბოლის მთავრობის ქემალისტებთან მოლაპარაკებების შესახებ ხომხური გაზეთი „ბოსფორი", რომელიც ფრანგულ ენაზე გამოდის, სწერს:

„რო ანგორასთან მოლაპარაკება გაიმართება—ეს ძალა ცხადია. სამინისტროს კრიზისი უმთავრესათ იმით აიხსნება, რომ სტამბოლსა და ანატოლიას შორის მოლაპარაკება საეჭვოთესო პირობებში იწარმოებს. პრინციპიალურათ სტამბოლში ყველა მოლაპარაკების მომხრეა, თვით ისინიც კი, ვისაც არ სწამს რომ მოლაპარაკებამ რაიმე დადებითი შედეგს მიაღწევს, დარწმუნებული არიან, რომ საცდელი უნდა სცადონ.

სხვა და სხვა მიმართულებათა შორის, უკვე რამოდენიმე კვირაა, რაც პლატონიური და უნაყოფო ურთიერთობა სწარმოებს. არის ერთი საშუალება ყველა მიმართულებათა გასაერთიანებლათ, —უნდა დავაყენოთ ეს მიმართულებანი პირის-პირ ფაქტებთან. უნდა დაუახლოვდეთ მუსტაფა ქემალს, რომ გავიგოთ უკანასკნელათ, რა სწადია მას და ამის შემდეგ მივმართოთ სხვა და სხვა ზომებს, რომელიც გამოგვიყვანს არსებული მდგომარეობიდან. ეს მდგომარეობა შეუძლებელია არ შეიცვალოს. ვისგან შესდგება მისია, ეს ჩვენ არ ვიცით, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ საჭიროა ისეთი პირების არჩევა, რომლებიც თავისი შეხედულებით ახლო დგანან ანგორის ნაციონალისტებთან.

საეჭვო არ არის, რომ სევრის ხელშეკრულების სისრულეში მოსაყვანათ, დასავლეთის სახელმწიფოები, თუ-კი საჭირო იქნება, იძულებითი ხასიათის ზომებს მიმართავენ და მაშინ ხელშეკრულების გადასინჯვა არ მოხდება. მოკავშირეები სანამ ანატოლიასთან მოლაპარაკების შედეგებს არ გაეცნობიან, არავითარ ზომებს არ მიიღებენ. ისინი იმედოვნობენ, რომ ანგორის ხელმძღვანელები თავის მცდარ და დამღუპველ ტაქტიკას გამოიცვლიან. რაც შეეხება კერძო პირებს, მოკავშირეები მზათ არიან მათ მიუტევონ. მაგრამ სევრის ხელშეკრულების მთავარ პირობების შეცვლა არას შემთხვევაში არ მოხდება.

**სლავიანთა სოლიდარობა.**

**სტამბოლი,** 30 ოქტომბერი. ბერძნული გაზ. „ტახიდრემოსი" სწერს;

„ბალკანეთის წონა-სწორობა შეუძლებელია და წარმოუდგენელი სლავიანური ელემენტების დახმარების გარეშე. სლავიანთა სოლიდარობა ქიმერიული რამ კი არ არის, როგორც ზოგიერთენი ფიქრობენ, არამედ სინამდვილეა და ნამდვილი ძალა, რომლის პირველი ნაბიჯი იქნება მახლობელ მომავალში ბულგარეთის და სერბიის მჭიდრო დაახლოვება, გაერთიანება.

ამ ორ სახელმწიფოს შორის ძველი შუღლი უკვე არ არსებობს და მათი ინტერესები ერთი და იგივეა. ბულგარეთისთვის და სერბიისთვის ეგეის ზღვაზე გამოსვლა არსებითი საკითხს შეადგენს. შეერთებული ძალებით ისინი კიდეც მიაღწევენ დადებითი შედეგებს."

## საბჭოთა რუსეთში

**მიუდგომელი შეფასება**

**მოსკოვი,** 10 ნოემ. (რადიო). ინგლისის მწერალი უელსი, რომელიც ესტუმრა საბჭოთა რუსეთს, ინგლისის გაზეთებში აქვეყნებს თავის შთაბეჭდილებებს. ჩერდება რა რუსეთის ეკონომიურ მდგომარეობაზე, ის მთელ ბრალს სდებს ევროპის იმპერიალისტებს, რომლებმაც ჩაითრიეს რუსეთი ექვს წლიან ომშიდა რუსეთის აოხრებას. მიზეზათ მიაჩნია არა კომუნისტურ პრინციპების გატარება, არამედ ინტერვენცია და ბლოკადა. რუსეთის სილატაკე ვალად აწევს ინგლისს და საფრანგეთს. საბჭოთა მთავრობას, მწერლის აზრით მხარს უჭერს რკინის დისციპლინის მატარებელი კომუნისტური პარტია და ეს მთავრობა არის ერთად ერთი პატიოსანი მთავრობა მთელ დედამიწის ზურგზედ. გლეხები ცხოვრობენ უკეთესად, ვიდრე ომამდის ცხოვრობდნ. ისინი არ მიისწრაფიან საბჭოთა მთავრობის ჩამოგდებისაკენ და მიაჩნიათ ის ერთად ერთ წყაროდ მომავალ ბედნიერებისათვის.

**ციმბირი იწმინდება**

**ვლადივასტოკი,** 26 ოქტ. (რადიო მოსკოვიდან). ამურის ოლქში მაღაროების პატრონებმა დატოვეს ქონება და გაიქცნენ. მიღებულია ზომები მუშაობის გასაახლებლად.

**ტყის დაცვა.**

**ბაქო,** 11 ნოემბ. ამხ. ნარიმანოვის მეთაურობით კომისიამ გამოარკვია, რომ ნეიტრალურ ზონაში დაშნაკელები ანადგურებენ ტყეებს. წინადადება მიეცა მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარს, გააძლიეროს ტყის დაცვის საქმე.

## რევოლუციის ფრონტებზე

**სამხედრო ოპერატიული რადიო ცნობა რესპუბლიკის საველე შტაბის „რევოენსოვეტისა" 10 ნოემბრიდან**

**ყირიმის ფრონტზე.**

**მოსკოვი,** 10 ნოემ. (რადიო). პეკოპის რაიონში, ჩვენმა ნაწილებმა სძლიეს მტრის სასტიკ წინააღმდეგობას, დაიკავეს მისი გამაგრებული პოზიციები პერეკოპთან და აიღეს ქ. არმიანსკი ბაზარი.

ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეთ დროზდენის დივიზიის ნაწილი რიცხვით 500

## წითელი რუსეთის დღესასწაული

**(ერთი თვალის გადავლებით).**

(დასასრული იხ. ახ. კომ. № 90)

კომუნიზმი განხორციელდება უეჭველათ. კომუნიზმი მოდის ჩვენსკენ. ჩვენ მივდივართ მისკენ ისეთი სიძლიერით, რომ არავითარ ძალას, არც ბუნებრივს, არც ზესთაბუნებრივს არ შეუძლია ამ ლტოლვა-მისწრაფების შეჩერება.

იმპერიალიზმი,—ეს უმაღლესი და უმწვერვალესი ფორმა კაპიტალისტური განვითარებისა, განწირულია ისტორიის მიერ. ის ჯერ კიდევ ძლიერია, ძლიერია საუკუნოებრივი გამოცდილებით, კლასიური შეგნებით, დარაზმულობით, სამხედრო ტეხნიკით, მოქნილი და გამოზრძმედილი სახელმწიფო აპარატებით, ბაჯაღლო ოქროთი, სულიერათ და მატერიალურათ დამონების იარაღებით, მშრომელთა შეუგნებლობა-დაქსაქსულობით და სხ. მარა მისი დღეები მაინც დათვლილია, მისი ალსასრული მოახლოვებულია, ვინაიდან გაცხოველებულ სამოქალაქო ომის დროს მას თანდათან ძალა აკლდება. და პირიქით: მისი სოციალური ანტიპოდი, მისი მოსისხლე მტერი—კომუნიზმი ბრძოლის უფრო და უფრო გამწვავებასთან ერთად თანდათან ძლიერდება, გასაოცარი სისწრაფით იკრეფს თავის გარშემო ახალ ახალ რაზმებს ალფრთოვანებულ, თავდადებული და კლასიური შეგნებით გაცისკროვნებულ რევოლუციონერებისას.

კომუნისტური ლაშქარი გაიმარჯვებს, ვინაიდან იგი იბრძვის შეგნებულათ, ნება-ყოფლობით, იბრძვის, როგორც ვოლონტიორი, მოხალისე, გამსჭვალულგატაცებული საკაცობრიო იდეალებით. იმპერიალისტური ლაშქარი დამარცხდება, ვინაიდან იგი შესდგება მთელი ქვეყნის დაქირავებულ ნაძირალებისაგან, რომლებიც იბრძვიან პირადი, საკუთარი კუჭის ინტერესებისათვის.

კომუნისტური ლაშქარი—ეს მთელი ქვეყნის მშრომელთა და დაჩაგრულთა პატიოსანი ლაშქარია, რომელიც, რაკი ერთხელ იგემა—შეისისხლხორცა კომუნისტური იდეალი, ლომივით იბრძვის, არ შეუძლია არ იბრძოლოს ამ იდეალისათვის, ვინაიდან იგი დარწმუნებულია საბოლოო გამარჯვებაში.

იმპერიალისტური ბანდიტები დამარცხდებიან, ვინაიდან ისინი თანდათან ჰკარგავენ რწმენას საბოლოო გამარჯვებისას, ვინაიდან ისინი ყოველ-დღე რწმუნდებიან კომუნისტების უძლეველობაში.

ნოემბრის რევოლუცია მსოფლიო კომუნისტური რევოლუციის დასაწყისია. ისტორიამ რუსეთს არგუნა დიადი როლი პირველობისა, ბელადობისა კომუნისტურ-რევოლუციაში. რუსეთის რევოლუციონურმა პროლეტარიატი განდა ღირსეული მეთაური მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისა.

რუსეთის პროლეტარიატის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი რუსეთის კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიაა. რუსეთის ბოლშევიკურმა პროლეტარიატმა პირველმა აღმართა კომუნისტურ-რევოლუციონური დროშა და სამკვდრო-სასიცოცხლოთ ვკვეთა საკუთარ და მსოფლიო იმპერიალიზმს.

ნოემბრის გადატრიალების წინა დღით ბოლშევიზმის წინაშე იდგა უძნელესი ისტორიული კითხვა: დადგა თუ არა საერთაშორისო კომუნისტური რევოლუციის ხანა, არის საამისოთ მომწიფებული—ობიექტიურ-სუბიექტიური პირობები თუ არა? ბოლშევიკებმა, როგორც ჭეშმარიტი მარქსიზმის მატარებელმა პარტიამ რუსეთის ნიადაგზე, დადებითად გადასჭრა იმპერიალისტური ომის მიერ გამოწვეული კითხვა. ამ ძირითად მომენტის კითხვასთან მჭიდროთ დაკავშირებული იყო მეორე, ტაქტიკური კითხვა: როგორ უნდა აწარმოვო ბრძოლა, რომ რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლით და მოკლე დროში მიაღწიო განზრახულ მიზანს? ბოლშევიზმმა გენიალური გამჭრიახობით გადასჭრა ეს დიადი ტაქტიკური ამოცანაც. მან სთქვა: კომუნისტური რევოლუციის გასამარჯვებლათ საჭირო და აუცილებელია, მარქს-ენგელსის მოძღვრების თანახმათ, პროლეტარიატის კლასიურ-რევოლუციონური დიქტატურის განხორციელება და „ექსპროპრიატორების ექსპროპრიაცია". ამისთვის საჭირო იყო ბურჟუაზიისა და მისი ლაქიების „შემთანხმებლების", „კოალიციონისტების" (ესერ-მენშევიკები, კერენსკი-წერეთელი) წინააღმდეგ სასტიკი და შეუბრალებელი ბრძოლა; საჭირო იყო პროლეტარიატის პოლიტიკურ-იდეალური და ორგანიზაციულ-ტეხნიკური მომზადება და გაწვრთნა სოციალისტური დიქტატურისათვის. ეს ტაქტიკურ-პოლიტიკური ხაზი საუცხოვოთ გაატარა ბოლშევიკურმა პარტიამ რვა თვის განმავლობაში. და როცა დადგა შესაფერი მომენტი, ერთი გენიოსური დაკვრით ბოლშევიკებმა ხელთ იგდეს სახელმწიფო ძალა-უფლება, განახორციელეს პროლეტარიატის რევოლუციონური დიქტატურა მუშათა და გლეხთა (პირველ ხანაში—სალდათების) დეპუტატების საბჭოების სახით და შეუდგენ წინასწარ სოციალისტურ რეფორმების გატარებას—შიგნით და მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციისათვის ნიადაგის მზადებას—გარეთ, საერთაშორისო მასშტაბით. ბოლშევიკებს ზედმიწევნით ქონდათ გათვალისწინებული ის, რომ მარტო სახელმწიფოში, როგორიც არ უნდა იყოს იგი, შეუძლებელია სოციალიზმ-კომუნიზმის განხორციელება, რომ მისი სრული და სავსებით განხორციელება უნდა მოხდეს საერთაშორისო მასშტაბით, ყოველ შემთხვევაში—კაპიტალისტურ ქვეყნებში მაინც, რომლებიც ათასი სოციალ-ეკონომიური ძაფებით არიან ერთმანეთთან გადაბმულ-გადაჯაჭვულნი.

ნოემბრის რევოლუციას და მის ავტორს სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა შინაურმა და გარეულმა იმპერიალისტურმა კონტრ-რევოლუციამ. რუსეთის პროლეტარიატი და მასთან მჭიდროთ შეკავშირებული ღარიბი გლეხობა სამი წლის საოცარი გმირობით ებრძვის ყოველ მხრივ მოზღვავებულ მტერს, აუარებელია მსხვერპლი, მოტანილი რუსეთის მუშების და გლეხების მიერ მსოფლიო რევოლუციის სამსხვერპლოზე, მარა დიადი და საოცარია მოპოვებული გამარჯვება შინაურ და საერთაშორისო წითელ ფრონტზე. საბჭოთა რუსეთი, მუშების და გლეხების რუსეთი გამარჯვებული, გამოცდილი, გამობრძმედილი და გასალკლდევებული, გაძლიერებული, გაფართოვებული დგას დღეს ამაყათ, შეუპოვრათ და შეურყევლათ, დარწმუნებული თავის საბოლოო გამარჯვებაში—დგას ჩვენი პლანეტის მთელ მეექვსედ ნაწილზე. როგორც მსოფლიო უძლეველი კოლოსი, რომელსაც საშინელი კბილთა ღრჭენით, მხეცური ღმუილით, ცოფმორეული და ცახცახ-კანკალით შეჰყურებენ მთელი ქვეყნის ავაზაკები.

რუსეთის პროლეტარიატის რკინის დიქტატურამ განსაცვიფრებელი, კოლოსალური საქმე გააკეთა ამ სამი წლის განმავლობაში: მან შეუბრალებლათ დალეწა შინაური მტერი, ბურჟუაზია და პამეშჩიკები; ერთგულ მოსამსახურეთ დახადა ბურჟუაზიული ინტელიგენცია, რომელიც პირველ ხანებში, სანამ იმედი ქონდა ბურჟუაზიულ-იმპერიალისტური კონტრრევოლუციის გამარჯვების, ბოიკოტ-საბოტაჟით, ებრძოდა მუშების და გლეხების მთავრობას; სინსილა გააწყდო, ნულამდე დაიყვანა ძალა და გავლენა იმ წვრილ-ბურჟუაზიული პარტიების, ესერების და მენშევიკების, რომლებიც მუდამ თაღლითობდენ, სიტყვით სოციალისტობენ და საქმით ეხმარებიან შინაურ და გარეშე კონტრრევოლუციას; ძირს უთხრიან მშრომელთა რესპუბლიკას; შექმნა ნამდვილი მუშურ-გლეხური მართვა-გამგეობა, როგორც ცენტრში, ისე პერიფერიებში, განახორციელა ნამდვილი მშრომელთა სახელმწიფო, ყველა მუშა ჩაება სახელმწიფო აღმშენებლობის საქმეში; მეთოდიურათ და ულმობელობით ატარებს კომუნიზმის ძირითად კანონს: ვინც არ შრომობს, ნუ სჭამს; მოსპოს საუკუნოებით გამტკიცებული უკულტურობა, უცოდინარობა, ველურობა, ბარბაროსობა რუსეთის ხალხში, რომე-

კაცი და ჩავიგდეთ 4 ზარბაზანი.
რესპუბლიკის საველე შტაბის რევ-ენოსოვეტის მაგიერ: კლიმი.

### გერმანიაში.

**მოსკოვი, 10 ნოემბ. (რადიო).** ბერლინის სიზოგადოებრივ უზრუნველყოფის პოლიცია, რომელიც შედგენილია ნოსკეს მიერ და რომელმაც ითამაშა დიდი როლი სპარტაკელების მოძრაობის ჩაქრობაში, დღეს აცნობა თავის დირექციას, რომ ის უარს აცხადებს მიიღოს რაიმე მონაწილეობა მცხოვრებლების წინააღმდეგ თუ კიდევ იქნება რაიმე მღელვარება.

### თეთრ ტერორთან ბრძოლა.

**მოსკოვი, 11 ნოემბ.** ირლანდიაში დაუსრულებელი თეთრი ტერორის გამო სპეციალური კომიტეტი დაარსდა, რომლის მიზანია ინგლისის მთავრობას ხელი აიღებინოს სისხლის ღვრის პოლიტიკაზე.

### კომუნისტების მანიფესტაცია სალონიკში.

**კონსტანტინეპოლი, 22 ოქტომბერი.** კონსტანტინეპოლის გაზ. „ორიენტ-ნიუსის“ სპეციალური კორესპონდენტი შემდეგ ნაირათ აღწერს სალონიკში მომხდარ კომუნისტების მანიფესტაციას:

„ჩემი ჩასვლის პირველ დღეს, სწერს კორესპონდენტი,—სალონიკში (საბერძნეთში) მოხდა სოციალისტების, უფრო სწორათ რომ ვსთქვათ, სალონიკელ ბოლშევიკების დიდი მანიფესტაცია. დილით ადრე ახალგაზრდები წითელი ნიშნებით გულზე ურიგებდენ ქუჩაში ხალხს კომუნისტურ გაზეთებს. მეტ ნაწილათ არიგებდენ გაზ. „ავანტის“, რომელიც დაბეჭდილი იყო ბერძნულ, თურქულ, ისპანიურ და ებრაულ ენებზე. გაზეთი მოუხმობდა ყველა ამხანაგ კომუნისტებს მიეღოთ მონაწილეობა მანიფესტაციაში.

თეთრ კოშკთან თავი მოიყარა კომუნისტების ერთმა ჯგუფმა წითელი დროშებით და პლაკატებით, რომლებზედაც შემდეგს ამოიკითხავდით: „გაუმარჯოს კომუნიზმს“. „გაუმარჯოს ბოლშევიზმს“. ჩანდა აგრეთვე **ლენინის, ტროცკის და ჩიჩერინის სურათები. სალონიკელი სოციალისტები მიდიოდენ და ჰკოცნიდენ სურათებს.** ყველა ამას რომ შევხედე, მე შევეკითხე ჩემს თავს, ნუ თუ მე საბერძნეთში ვიმყოფები? მე ვიწმენდი თვალებს და ვფიქრობდი: **ხომ არ გადამისროლა მე ბედისწერამ მოსკოვში ან და უკიდურეს შემთხვევაში სოფიაში** (ბულგარეთში).

საინტერესოა ამ მხრით გაზ. „ავანტის“ თვალის გადავლება. **ეს გაზეთი ისეთ კილოზე და ხტილით სწერს, როგორც ანატოლიის ბოლშევიკური გაზეთები,** ის ანვითარებს იმავე იდეებს, რასაც ბოლშევიკური გაზეთები. მოწინავე წერილში განვითარებული აზრი მსოფლიო პროლეტარიატის უკანასკნელ მოთხოვნებზე. გაზეთი მოითხოვს ბურჟუაზიულ პარლამენტის დათხოვას, მოითხოვს, რომ ძალაუფლება აიღონ ხელში მუშათა და გლეხთა საბჭოებმა და დაამყარონ კომუნისტური თემი პროლეტარიატის დიქტატურის საშვალებებით, ამას გარდა გაზეთში მოწოდებაც არის, რითაც მოუხმობენ მშრომლებს დაეხმარონ რუსეთს და არ მისცენ ნება კონტრ-რევოლიუციონურ ძალებს გაილაშქრონ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ“.

### მანიფესტაცია.

**ათინა, 20 ოქტომბერი.** გაზ. „ელასი“ შემდეგს იტყობინება ოქტომბრის რიცხვებში სალონიკში მომხდარ ბოლშევიკების მანიფესტაციის შესახებ: „მრავალ ათას კაცისაგან შემდგარმა **კომუნისტების მანიფესტაციამ** გაიარა ქალაქის მთავარი ცენტრალური ქუჩები სრული წესრიგით, დროშებით და პლაკატებით: სიტყვები წარმოსთქვეს: გეორგიადისმა, (ყოფილი პროკურორია) და არდიტტიმ—მათ ახსნეს და განმარტეს პროგრამა და მიზანი კომუნისტურ პარტიისა. ორატორების სიტყვას ხალხი ტაშის ცემით შეხვდა. ხალხი ერთხმათ, განუწყვეტლივ გაიძახოდა: „გაუმარჯოს სოციალიზმს“. „გაუმარჯოს საბჭოებს“. „გაუმარჯოს ლენინს“. მუშების მანიფესტაციას, რომელიც შესდგებოდა ხუთი ათასი კაცისაგან, შეუერთდა რამოდენიმე ათასი ქალაქის და მისი განაპირი უბნების მცხოვრებლები. მანიფესტაცია წითელი დროშებით და სურათებით „ეტნიკიამინის“ ქუჩით გაემართა „ლევკოს პირგოსის“ მოედნისაკენ. მანიფესტაცია იმუქრებოდა და გაიძახოდა: „ძირს საზღვრები, ძირს ომი, ძირს ჯარი“. გაუმარჯოს ბულგარელებს, გაუმარჯოს რუსეთს“. მანიფესტანტების წინააღმდეგ გამოვიდა პოლიცია, მოხდა შეტაკება, რომლის დროს მოკლეს და დასჭრეს რამოდენიმე კაცი.

### ტერორი კორეაში.

**ვლადივასტოკი, 28 ოქტომბერი.** კორეიის რევოლიუციონერებმა ტერორისტული აქტები მოაწყვეს. პოლიცია რევოლიუციონერებს აპატიმრებს. აღმოაჩინეს დინამიტის და ყუმბარის საწყობები.

### ახალი ბლოკადა.

**მოსკოვი, 10 ნოემბერი.** „იზვესტია“ სწერს, რომ ინგლისის გემებმა შავ ზღვაზე იტალიის გემი „ანკონა“ დაიჭირეს, რომელიც საბჭოთა რუსეთისათვის საქონლით დატვირთული ნოვოროსიის ნავთსადგურში მიდიოდა. ამ თავდასხმას ინგლისელები იმით ხსნიან, რომ მათ ვითომც „ანკონაზე“ იარაღები შეენიშნოს, თუმცა არც ასეთ შემთხვევაშიც არ ჰქონდათ უფლება გემისთვის ხელი ეხლოთ: რადგანაც მოირკვა, რომ „ანკონაზე“ იარაღი სრულიადაც არ იყო, იგი („ანკონა“) არც მაშინ გაუშვეს. აქედან ცხადია, რომ ბრიტანიის მთავრობამ განაახლა საბჭოთა რუსეთის ბლოკადა. ყოველივე ეს საიდუმლოთ კეთდება: რუსეთის ბლოკადის შესახებ ინგლისის მთავრობის ოფიციალური დეკლარაცია არ ყოფილა. ეს ცნობა გვაუწყა პარიზის ერთ-ერთ შავრაზმულმა გაზეთმა („პოსლედნიე ნოვოსტი“). ამ გაზეთს კი ეს ცნობა „ტაიმსიდან“ ამოუღია, რომელიც კიდევ თვითონ კი არ იუწყება, არამედ თავის ჩვეულ კორესპონდენტის პირით გვაცნობებს. ამნაირათ მთელი ქვეყნისთვის ცხადია, რომ მოკავშირეთა კომისიას, სტამბოლში შავი-ზღვის ბლოკადის გამოცხადება აქვს გადაწყვეტილი. მაშ რის მაქნისია, რას ნიშნავს მოკავშირეთა კომისია სტამბოლში? ეს ნიშნავს ინგლის-საფრანგეთის წარმომადგენლობას ოსმალეთის დედაქალაქში, მხოლოდ ამ ორი სახელმწიფოსა, ვინაიდან სხვა სახელმწიფოები ამ უმართებულო ზომას მხარს არ უჭერენ. გაზეთები იტყობინებიან, რომ შეერთებული შტატები რუსეთის ბლოკადაში მონაწილეობაზე უარს აცხადებს.

დღეს დეპეშები იუწყებიან, რომ იტალიის მთავრობაც არ ეთანხმება ამ დადგენილებას, რომელიც უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილებას რუსეთის საქმეებში ჩაურევლობაზე ეწინააღმდეგება. ცხადია, რომ ამ დადგენილების მიღებამდის ანტანტის სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკება სწარმოებდა, და ცხადია ისიც, რომ ამ ბოროტ მოქმედების ინიციატივა ინგლისს და საფრანგეთს ეკუთვნის. და ამ ბოროტ მოქმედებაში ყველაზე მეტი ღვაწლი ალბათ ინგლისს მიუძღვის, ვინაიდან ჯერჯერობით მხოლოდ ინგლისის მეზღვაურები ნადირობენ რუსეთის ნავთსადგურებში მიმავალ გემებზე. ნეტავ რითი აპირებს ინგლისის მთავრობა ამ ბლოკადის განახლების გამართლებას? დღემდის ჩვენ ხელთ გვაქვს ორი განმარტება: პირველი არის „ტაიმსის“ ცნობა, რომელიც ამბობს, რომ ბლოკადას საბაბათ დაედვა ვრანგელსა და ბოლშევიკებს შორის მოსალოდნელი ყაჩაღური ომი. სრულიად გაუგებარია რას ნიშნავს ეს! შავ ზღვაზე ყაჩაღური ომის გასაფრთხილებლათ ინგლისის მთავრობამ სხვა საშვალება გარდა ავაზაკური ომის დაწყებისა ერთ-ერთ მებრძოლის წინააღმდეგ, სახელდობრ მხოლოდ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, ვერ პოვა.

მეორე განცხადება, ინგლისის წყაროებიდან გამომდინარე, ლაღადებს, რომ ინგლისის მთავრობამ მიიღო ეს ზომები, ვინაიდან ეშინოდა ვრანგელის მოქმედების. ბუნდოვანია, თუ რომელ მოქმედებაზე ლაპარაკი. თუ ვრანგელის მოქმედებაზეა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, მაშინ რათ აფრთხილებდენ საბჭოთა რუსეთს შავი ზღვის ნაპირების ბლოკადით? ინგლისის ადმირალების მხრით ეს იქნებოდა ზედმეტი ზრუნვა ჩვენს ინტერესებზე, მაგრამ ჩვენ ასეთი დაცვა არ გვითხოვია. შეიძლება ინგლისის მთავრობა მოელის ვრანგელის მოქმედებას ინგლისის ფლოტის წინააღმდეგ? ამის წარმოდგენა ყოვლად შეუძლებელია. რომ ეს ასე იყოს, მაშინ ვრანგელის მოქმედებას ინგლისის წინააღმდეგ, ინგლისის ფლოტი რატომ უპასუხებს საბჭოთა რუსეთის ნავთსადგურების ბლოკადით და გემების გაგზავნით ყირიმში იქედან გადმოხვეწილების გამოსაყვანად?

ეს ნათელია. ინგლისის მთავრობა ანახლებს მოქმედებას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. გავიხსენოთ კერზონის მუქარის ნოტა ნიკოლაევში წყალქვეშა ნავის ჩაშვების გამო. ვრანგელის ფლოტის კი არ ეშინია ინგლისს, არა, ის უფრთხის ჩვენ წყალქვეშა ნავს, ეშინია არა ამ ნავის მოქმედების ინგლისის წინააღმდეგ, არამედ ამ ნავის მოქმედების ვრანგელის ფლოტის წინააღმდეგ. ინგლისის მთავრობა დიდხანს ეძებდა საბაბს საბჭოთა რუსეთზე ახალ თავდასხმისათვის ვრანგელის დასახმარებლად.

ჩვენ ვუცდით ინგლისის მუშათა კლასის აქტიურ მოქმედებას და პროტესტს ბრიტანიის იმ მთავრობის პროვოკაციულ მოქმედების წინააღმდეგ მიმართულს, რომელმაც განაახლა საბჭოთა რუსეთის ბლოკადა, და რომელიც იწვევს საბრძოლველად არა მარტო რუსეთის ხალხს, არამედ ინგლისის პროლეტარიატსაც.

# დღიური.

**ყირიმის ფრონტზე წითელმა ჯარმა მკაცრი ბრძოლის შემდეგ აიღო არმიანსკი. ხელთ იგდო 4 ზარბაზანი, 600 ტყვე დროზდოვის დივიზიიდან და სხვ.**

**ფინლიანდიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გადასწყვიტა გამოვიდეს მეორე ინტერნაციონალიდან.**

**საბჭოთა მთავრობამ სავაჭრო ხელშეკრულება დასდო ამერიკის ერთ სავაჭრო ფირმასთან.**

# საქართველოში

**ამხ. მიშა ოკუჯავას ხელახლათ დატუსაღება.** ქალ. ქუთაისში ხელახლა დაატუსაღეს ჩვენი ამხ. მიშა ოკუჯავა, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც გაანთავისუფლეს პირობით, რომ გადასახლებულიყო აზერბაიჯანში. შინაურ პირობების გამო მან შუამდგომლობა აღძრა სამინისტროს წინაშე, რათა მოსამზადებლათ მიეცათ ერთი თვის ვადა, რის პასუხსაც ის უცდიდა, და რომელიც მშვენივრათ იცოდა ბ. ქ. მილიციის უფროსმა მალნარაძემ, მაგრამ მიუხედავათ ამისა ის დაატუსაღეს და ბრალდებათ ის წამოუყენეს, რომ მთავრობის დადგენილებას არ დაემორჩილა. ეს ბრძოლის ახალი აღმოჩენილი მეთოდია.

**— მუშა არ უნდა გაეფიცოს ბურჟუას.** შრომის სამინისტრომ რესპუბლიკაში მყოფ შრომის ყველა კომისარს, პროფეს. კავშირებს და შრომის სამინისტროს რწმუნებულთ შემდეგი შინაარსის ცირკულიარული განმარტებით მიმართა: ამ უკანასკნელ ხანში თბილისის და პროვინციების ზოგიერთ კავშირში ადგილი ქონდა ისეთ შემთხვევებს, როდესაც მოსამსახურენი აყენებდნენ სხვა და სხვა მოთხოვნილებებს და გაფიცვით იმუქრებოდენ. ამ მოთხოვნილებებს საფუძვლათ ჰქონდა ან ხელფასის დროზედ მიცემა და პურის და სხვა საგნების რეგულიარულად მიწოდება. ამგვარ მოვლენათა არსებობას; რომელთაც თან სდევს მუქარა გაფიცვისა, სამინისტრო სთვლის, სამწუხარო გაუგებრობათ. მიმართვა გაფიცვისათვის, როგორც ერთადერთი საშუალებისათვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, თანამედროვე პოლიტიკურ პირობებში უარყოფილი უნდა იყვეს. რესპუბლიკის თანამედროვე ეკონომიური პირობები მოითხოვს სამრეწველო ცხოვრების მიმდინარეობისადმი მეტად ფრთხილ მოპყრობას, რადგანაც მრეწველობაში მომხდარი, თუნდ ოდნავი, შეფერხებაც კი მძიმე ტვირთად აწვება, თვით მუშებს. ყოველთვის, როდესაც შრომის სამინისტროს შუამდგომლობა სასურველ შედეგებს არ იძლევა, მაშინ არსებობს ისეთი ობიექტიური პირობები, რომელთა გადალახვა დროებით შეუძლებელი ხდება. შეკავშირებულმა მუშათა კლასმა არ შეიძლება, რომ ეს არ იცოდეს. მუშათა ორგანიზაციებმა, შრომის კომისრებმა და შრომის სამინისტროს რწმუნებულმა ყოველგვარი ღონე უნდა იხმაროს, რომ ცალ-ცალკე ჯგუფებმა ან მუშათა კავშირებმა გაფიცვის მუქარით და მუშაობის შეწყვეტით დეზორგანიზაცია არ შეიტანონ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში და ისინი ყოველ შემთხვევაში უნდა სცდილობდენ, წინდაწინვე აღმოსფხვრან ყოველგვარი შესაძლებლობა კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადასაჭრელად.

ლიც სამასი წელიწადი საშინლათ გმინავდა რომანოვების თვითმპყრობელობის ხელში, და თვითეული პატიოსანი მშრომელი გადააქცია შეგნებულ და თავ-განწირულ დამცველათ პროლეტარულ სამშობლოსი; სახალხო განათლების სფეროში სამი წლის განმავლობაში გააკეთა იმდენი, რამდენსაც ვერც ერთი მთავრობა, თუ გინდ „დემოკრატიულიც“. (მაგ. „დემოკრატიული“ საქართველო) ვერ გააკეთებს, არ გააკეთებს სამი საუკუნის განმავლობაშიაც კი; მოსპო კერძო საკუთრება ყოველგვარ კაპიტალზე, მიწაზე, საწარმოო და მიმოსვლის საშვალებებზე, მაღაროებზე, წყლებზე და სხ., ერთი სიტყვით, მოსპო კერძო საკუთრება ყოველგვარ სიმდიდრეზე და სიმდიდრის წყაროზე—იარაღზე, და ყველაფერი ეს გადააქცია, მუშური სახელმწიფოს საკუთრებათ, ქონებათ, განძათ, რომელიც ხმარობს ამ სიმდიდრეს ყველა მშრომელთა სასარგებლოთ; გაატარა წარმოება—განაწილების და საგარეო ვაჭრობის სოციალიზაცია—ნაციონალიზაცია; მოსპო შინაური ვაჭრობა და სასტიკი ომი გამოუცხადა სპეკულიაციას; მისცა ღარიბ გლეხს იმდენი მიწა, რამდენსაც იგი დაამუშავებს ხწკუთარი მარჯვენით, თუ მას ჯერ კიდევ არ სურს მიიღოს მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო კომუნებში, არტელებში და საბჭოთა მეურნეობაში ყოფილ პამეშჩიკების და სხვა მსხვილი მიწათმფლობელების „ეკონომიებში“; დაუახლოვა სოფელი ქალაქს და ქალაქი სოფელს, რითაც ზედმიწევნით ხელი შეუწყო სოფლის გაკულტურონსებას; გაანადგურა კერძო საკუთრების თანდაყოლილი ინსტინქტი და სიყვარული გლეხობაში და გაალვივა მასში კომუნისტური ლტოლვა-მიდრეკილება; ბევრ ალაგას და ბევრ წარმოების დარგში იმდენათ გაიზარდა წარმოების ნაყოფიერება, რომ გადააჭარბა იმპერიალისტურ ომის წინანდელ ნორმას; მოაწესრიგა გამოკვების და სურსათ-სანოვაგის საქმე ისე, რომ თავიდან აიცილა რუსეთის ხალხს შიმშილით სიკვდილი, რასაც ისახავდა და ისახავს მიზნათ იმპერიალისტური ბლოკადა; ერთის დაკვრით გადასჭრა რთული და დახლართული ნაციონალური საკითხი მშრომელთა თვითგამორკვევის საფუძველზე, გადასჭრა ერთბაშათ და გაბედულათ, მიუკიბ-მოუკიბავათ, პროლეტარული სისწორით, სამართლიანობით და პირდაპირობით და არა ისე, როგორც სჩვევიათ იმპერიალისტებს სოციალ-შოვინისტებს.

გასაოცარია რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის შემოქმედებითი ნიჭი და უნარი ცხოვრების ყველა სფეროში, მარა განსაკუთრებულ განცვიფრებას და აღტაცებას იწვევს მთელი ქვეყნის მშრომელთა გულში საბჭოთა რუსეთის შემოქმედება წითელი ლაშქრის შექმნაში. წითელი ჯარი გამსჭვალულია კომუნისტური შეგნებით და პროლეტარული დისციპლინით. იგი მთელი კაცობრიობის განცვიფრებას იწვევს თავის გასაოცარი გმირობით და უძლეველობით. წითელი არმიის წინაშე შიშით ცახცახებენ მთელი ქვეყნის იმპერიალისტები და მათი დამქაში—მენშევიკები. რა იქნებოდა რუსეთი უმისოთ? მას დიდი ხანს უდაბნოთ გადააქცევდენ მსოფლიო ავაზაკები, რომ მას წითელი მკერდით არ იცავდეს წითელი დარაჯი. იგი ერთგული დარაჯია არა მხოლოთ წითელი რუსეთის, არამედ საერთაშორისო პროლეტარიატისაც, რომელიც დღითი-დღე ემზადება გადამწყვეტი იერიშებისათვის. წითელი არმია საბჭოთა რესპუბლიკის პირმშო შვილია, რომლებსაც (დედა-შვილს) ურთმანეთოდ სიცოცხლე და არსებობა არ შეუძლიათ. წითელი არმია გმირული მკერდით უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იცავს პროლეტარულ სამშობლოს. და პირიქით: პროლეტარული სამშობლო თავს ევლება წითელ არმიას. მათ გაგიჟებით უყვართ ერთმანეთი, თანაბრათ იყოფენ ჭირსა და ლხინს. წითელი არმიის გამარჯვება წითელ ფრონტზე ახარებს არა მარტო საბჭოთა რუსეთს, არამედ მთელი ქვეყნის მშრომელებს. წითელი არმიის დამარცხება, თუ გინდ—მცირე, შიშსა და ეჭვს იწვევს მათში...

აწერია მოკლეთ, ერთობ სხარტათ თქმული კომუნისტური რუსეთის შემოქმედების ნაყოფი სამი წლის განმავლობაში, და ეს იმ დროს, როდესაც საბჭოთა რუსეთი დღევანდლამდე წარმოადგენს ერთად ერთ სოციალურ ოაზისს, ეცხო წალკოტს მთელ დედამიწის ზურგზე, რომელზედაც გააფთრებული იერიშები მოაქვს მთელი ქვეყნის იმპერიალისტებს.

კიდევ მეტია ღვაწლი რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო კომუნისტური რევოლიუციის წინაშე. რუსეთის რევოლიუციონური პროლეტარიატი არ დაერიდა არავითარ მსხვერპლს, რომ ხელი შეეწყო მსოფლიო რევოლიუციის მოსაახლოვებლათ. წითელმა რუსეთმა და მისმა დიდებულმა ბელადმა—რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკებმა) კარგათ იცოდენ, რომ რუსეთის პროლეტარული რევოლიუცია გაიმარჯვებდა მხოლოთ, როგორც მსოფლიო რევოლიუცია, ან და სასტიკათ დამარცხდებოდა. ამიტომ წითელი რუსეთი უნდა გადაქცეულიყო და კიდეც გადაიქცა მთელი ქვეყნის კომუნისტურ ლაბორატორიათ, რევოლიუციის ოსტატათ და მასწავლებლათ, სახელოვან ხელმძღვანელათ და ბელადათ, რევოლიუციონური ენერგიის და თავგანწირულების მაგალითად და დაუშრეტელ წყაროთ, სამხედრო შტაბათ და გენიალურ სტრატეგიათ.

რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის და მისი წითელი ჯარის დაუშრეტელმა ენერგიამ, საზღაპრო გმირობამ, თავგანწირულმა ბრძოლამ მსოფლიო იმპერიალისტების წინააღმდეგ და აუარებელმა მსხვერპლმა დიდი ნაყოფი მოიტანა მთელ დედამიწას, აღმოსავლეთს და დასავლეთს, ჩრდილოეთს და სამხრეთს, იმპერიალისტურ ქვეყნებს და მათ უზარმაზარ კოლონიებს მოედო კომუნისტური რევოლიუციის ალი. დღეს, ნოემბრის რევოლიუციის სამი წლის თავზე, დასავლეთის კომუნისტური პროლეტარიატი და აღმოსავლეთის კოლონიების აჯანყებული მონები უკანასკნელი და გადამწყვეტი იერიშებისათვის ემზადებიან მსოფლიო ავაზაკების წინააღმდეგ. გერმანიის, ინგლისის, იტალიის და საფრანგეთის მუშებმა და გლეხებმა უკვე დაიწყეს შეტევა მსოფლიო იმპერიალისტებზე. ეს უკვე დასაწყისია მსოფლიო რევოლიუციის. აღმოსავლეთის მონებში საბჭოთა რუსეთმა უკვე გაალვივა რევოლიუციონური ცეცხლი. იმათ უკვე დააწერეს დროშაზე საბჭოთა რუსეთის გზით სიარული, ე. ი. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა დასავლეთელ ავაზაკების და შინაურ დესპოტ-ტირანების წინააღმდეგ. ევროპა-ამერიკის კომუნისტური პროლეტარიატი, მჭიდროთ დარაზმული და გაერთიანებული რუსეთის კომუნისტური პარტიის პირმშო შვილის—მესამე ინტერნაციონალის წითელი დროშის ქვეშ და ზურგგამაგრებული რევოლიუციონური აღმოსავლეთით, ხელსაყრელ მომენტში სამკვდრო-სასიცოცხლო იერიშს მიიტანს და შეუბრალებლად გასრესს-დალეწავს მსოფლიო იმპერიალისტურ ჰიდრას და ააფრიალებს საერთაშორისო საბჭოთა რესპუბლიკის ძლევა-მოსილ წითელ დროშას.

ამ დიდებულ მსოფლიო სამოქალაქო ომის დროს რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა, მისი გმირთა-გმირი—წითელი არმია და მთელი ქვეყნის წამებულ კომუნისტების წითელი აჩრდილი, როზა ლიუქსემბურგი და კარლ ლიბკნეხტთან ერთად, იქნებიან გზის-მანათობელ წითელ ვარსკვლავათ, იმედათ და ნუგეშათ მთელი ქვეყნის წითელ მებრძოლთათვის.

ვისურვოთ, რომ ნოემბრის რევოლიუციის ოთხი წლის თავზე აღმართულიყოს ერთი მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკის წითელი დროშა.

ძირს მსოფლიო იმპერიალიზმის და დამქაშები! გაუმარჯოს მსოფლიო კომუნისტურ რევოლიუციას და მის ბელადს—წითელ რუსეთს!

**თავის მტერი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუშათა ცხოვრება

## ჩვენში

### ტრამვაის მუშათა შორის

28 ოქტომბერს ათის ნახევარს საათზე ავტომობილით მობრძანდა მინისტრი და დაიწყო მიტინგი. მუშებმა აუხსნეს მას თავისი აუტანელი მდგომარეობა ზამთრის მოახლოვების გამო. „იმ დროს —უთხრეს მუშებმა,—როდესაც საკანდიტეროებში აუარებელია ნაირნაირი ტკბილეულობა, ბულკები, თეთრი პური, მაღაზიები კი სავსეა მატერიით, ტანისამოსებით და სხვა მანუფაქტურით, ჩვენ მუშებს არა გვაქვს არც შეშა, არც ნახშირი, არც ნავთი, არც საკმარისად პური და ტანისამოსი და არც ფული.

მუშების მთავარი მოთხოვნილება იყო: დაუყონებლივი მიცემა ათი-ათასი მანეთის და ზამთარში საკმარის შეშის მიცემა. (მინისტრის საპასუხო სიტყვის დასაწყისში ხალხში გამოჩნდა პლაკატი წარწერით „ათი-ათასი მან. და შეშა", მაგრამ ის მალე მიმალეს მენშევიკების დამქაშებმა).

მინისტრი უთითებდა იმაზედ, რომ ასეთ მდგომარეობის შექმნაში არაა დამნაშავე საქართველოს მთავრობა, ვინაიდან ასეთ მდგომარეობაში იმყოფებიან ევროპის მრავალი სახელმწიფოებიც. პურის ულუფის გადიდება მინისტრმა არ დაგვპირდა და მიგვითითა ჯარის კაცების მდგომარეობაზე — ფრონტზე, რომლებიც ხანდისხან მშივრები იბრძვიან, საჭმელს არც კი თხოულობენო. რუსეთში კი თითო ოჯახზე იძლევიან სამ-მეოთხედ გირვანქას.

მინისტრის ამ უკანასკნელ ხანცხადებამ გამოიწვია ხმაურობა. გაისმა ხმები: „ტყუილია, ტყუილია". შეშა მთავრობასაც არა აქვს და მინისტრმა სთხოვა მუშებს, რომ ისინი წავიდნენ, დაჭრან და მოამზადონ შეშა. ერთ მუშის რეპლიკაზე მინისტრმა დაიყვირა, რომ მას არა აქვს უფლება დამოუკიდებლათ იმოქმედოს, მან პროფესიონალურ კავშირების შემწეობით უნდა იმუშაოს. გაათავა ბახტაძემ თავისი სიტყვა იმით, რომ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ საჭიროა ვალიუტა, ამას კი ქმნიან მუშები მუშაობით და თუ ისინი ზედმეტს იმუშავებენ, ჩვენ გვექნება ყველაფერი. ბახტაძემ ის კი არ თქვა —მშივრებმა როგორ იმუშაონო.

მინისტრის სიტყვამ და პასუხმა, არამც თუ დააკმაყოფილა მუშები კიდევ უფრო გააბრაზა ისინი.

ბოლოს იქნა გამოტანილი შემდეგი რეზოლიუცია: 1) დაიკეტოს ყველა საკონდიტეროები, რომ არ იქნეს გასაყიდათ თეთრი პური და რომ ის წავიდეს მუშათა მაგიდის გასაუმჯობესებლად. 2) ერთი თვის განმავლობაში მიეცეთ შეშა, ნახშირი, ნავთი, ხახვი, ქართოფილი და სხვ. 3) მიეცეთ ათი-ათასი მან. ავანსათ, 500 მან. გამოკლებით ყოველთვიურ ჯამაგირიდან.

## საზღვარ-გარეთ

### პროფესიონალურ კავშირების საერთაშორისო საბჭო

პროფესიონალურ კავშირების საერთაშორისო საბჭოში 12 აგვისტოს შემდეგ კიდევ ექვსი ძლიერი პროფესიონალური კავშირები, რომლებმაც დაარსეს ინტერნაციონალური საბჭო.

ახლად შემოსული პროფესიონალური ორგანიზაციები: 1) ინგლისის მუშათა კომიტეტების და სახელოსნოს დელეგატების საბჭოები. 2) ინდუსტრიალური მუშათა საბჭო (ამერიკის, ინგლისის და და ავსტრალიის კავშირები) 3) გოლანდიის ტრანსპორტის მუშების ფედერაცია. 4) ირლანდიის ინდოეთის ტრანსპორტის მუშების ფედერაცია. 5) გერმანიის სინდიკალისტები. 6) ნორვეგიის მწარმოებელი კავშირები.

ყველა ზემო აღნიშნული ორგანიზაციები თავისი პროფესიონალური მოქმედებით, მუშათა კლასის შეკავშირებით არიან რევოლიუციონური კავშირები. ეს კავშირები წარმოიშვა კაპიტალისტურ განვითარების პროცესში და ისინი შეურიგებელი მტრები არიან ყოველივე შეთანხმებლების. საერთაშორისო საბჭო აუცილებელ საჭიროებათ სცნობს პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლას. ის მიისწრაფის მუშათა სახელმწიფოს აშენებისაკენ. ამ დღეებში საერთაშორისო საბჭომ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომლითაც მიმართა მთელი ქვეყნის მუშათა კავშირებს გასწყვიტონ ყოველივე კავშირი პროფესიონალურ კავშირების მსოფლიო მოღალატე ცენტრთან და მიემხრონ ახალ მუშათა კავშირების წითელ ინტერნაციონალს. ამის გარდა ინტერნაციონალური საბჭო უგზავნის ბარათებს მთელი ქვეყნის მუშათა კავშირებს, მის რევოლიუციონურ ნაწილს რითაც აღნიშნავს და მიუთითებს მათ ნამდვილ კლასიურ სოლიდარობის აღდგენისა და მთელი ქვეყნის პროლეტარების გაერთიანების საჭიროებაზე. პროფესიონალურ კავშირებს მოუწოდებენ, რომ შეურიგებელ ბრძოლა აწარმოვონ სოციალ-პატრიოტების, ამ „მუშათა გენერლების" წინააღმდეგ, რომლებმაც თავის ხელში ჩაიგდეს პროფესიონალურ ორგანიზაციების საქმე და გადააქციეს პროფ. საბჭოების მოძრაობა ბნელ, საბიუროკრატო საქმიანობათ.

პირველ „საერთაშორისო პროფესიონალურ კავშირების კონფერენცია" უნდა მოხდეს 1921 წლის იანვარში. კონფერენციის მოსაწვევ მუშაობას აწარმოებენ თავიანთ ქვეყნებში დაბრუნებულნი მესამე ინტერნაციონალის წევრები, აგრეთვე ინტერნაციონალურ საბჭოს მიერ სპეციალურათ გაგზავნილი დელეგაციები და რწმუნებულები და აგრეთვე ბარათების საშუალებით.

ახლო აღმოსავლეთთან: აზერბეიჯან, საქართველო, სპარსეთ, სომხეთ და ოსმალეთთან კავშირის დასაჭერათ ინტერნაციონალურ საბჭომ კავკასიაში გაგზავნა ამხ. მიქაძე.

# პარტიული ცხოვრება

### მისალმება „საქ. კომუნისტს"

თბილისის საგუბერნიო № 2-რე საპყრობილის პოლიტიკური პატიმრები კომუნისტები აღფრთოვანებით მივესალმებით რუსულ ენაზე მუშათა ინტერესების დამცველ გაზეთ „საქართველოს კომუნისტის" გამოსვლას, მივესალმებით და უსურვებთ გამარჯვებას იმაში, რომ მან შეიტანოს განათლება ჩამორჩენილ კუთხეებში და გაავრცელებიოს კომუნისტური იდეები.

გაუმარჯოს „საქართველოს კომუნისტს"!

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას!

გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!

**მეტეხში მოთავსებული პოლიტიკური პატიმრები კომუნისტები.**

### გაზ. „ახ. კომუნისტს".

**ხაშურის რაიონის ულარიბესი მუშები და გლეხები** შეკრებილნი 25 ოქტომბერს პროლეტარულს დღესასწაულის აღსანიშნავათ მოგესალმებით გულწრფელათ და გისურვებთ ხანგრძლივ არსებობას.

### სალამი რუსულ „კომუნისტს"

ახაშელი ამხანაგების დავალებით გულითად სალამს ვუძღვნით რუსულ ენაზე გამოსულ გაზ. „კომუნისტს", რომელიც ჩვენი ჭეშმარიტი აზრების სწორი გამომხატველია. ამ გაზეთის გამოსვლა ამტკიცებს, რომ ჩვენი პარტია ძლიერდება. ჩვენც მზათ ვართ არ დავზოგოთ ჩვენი თავი ჩვენი ღირსეული პარტიის გასაძლიერებლათ.

ამხ. დავალებით **დომე თოფურია და დრიმი ჩაჩავა.**

# პროვინციის ცხოვრება

### სოფ. ანაგა. (სიღ. მაზრა).

ანაგა ეკუთნის იმ მრავალ სოფელთა რიცხვს, რომელიც ჩვენს კუთხეულ საქართველოში, რასაკვირველია სულ ერთიანათ ყვავის და მიისწრაფვის წინ ბედნიერებისკენ. სანაგაში ყველა კვირა დღეს იმართება ბაზრობა, სადაც თავს იყრიან მთელი მაზრის გახრწნილი წურბელა ჩარჩები.

წელიწადი — თორმეტი თვე დღე და ღამ შრომაში წელში გადატეხილი ჩვრებით ნაგლეჯში გამოხვეული საწყალი გლეხი, ალაზნის გაღმა სოფლებიდან, სადაც არიან დასახლებულნი დაღესტნით საქართველოდან. და დიდ გაჭირვების გადამტანნი და მოუწყობელნი, თავის უკანასკნელ საარსებო ლუკმას აწყობს დაქირავებულ ურემზე და მოაქვს ანაგაში რათა გაყიდოს და რაიმე ტანისამოსი იყიდოს სუსხიან ზამთარში გახაძლებათ, რომ არ აძლევს მხნევრპლი სიცოცხლე ტანჯულ წამებულ გლეხი. ეს სურათი ნათლად აქვს წარმოდგენილი აქ ჩარჩებს, იგი შაფათსავე ღამეს უხვდება გლეხს შუა გზაზედ და საწყალ გლეხს ცინცლავს თავის გამოსარჩენ და სასურველ ფასში, მეორე დღეს ბაზარზე ჰყიდის ერთი ხუთად იგივე გაჭირვებულ გალატაკებულ ულუკმო-პუროდ დატოვებულ გლეხზე.

ასეთ სურათს აქვს ადგილი ყოველ შაბათ და კვირას, მაგრამ ყურადღების მიმქცევი არავინ არის. მართალია ამ საზოგადოებას ჰყავს საკუთარი თემის გამგეობა, რომლის თავმჯდომარეთ არის სამაზრო ეროვნის მიერ ნაკურთხი ყოფილი ნიკოლოზის დროინდელი ნამამასახლისი, რომელიც დაჩვეული იყო სტუმრობას, სადაც კი ცეცხლი აენთებოდა, ახლაც თითქმის პირნათლად ასრულებს ასეთ მოვალეობას. უმეტესათ არც ერთი ქეიფი და ნათლობა არ შეიძლება და პირველი ადგილი მას უჭირავს, სეთ ქეიფში ატარებს დღესაც ანაგის თემის ბატონ-პატრონი.

ან ვინაა მისი კონტროლის გამწევი, როდესაც სამაზრო ეროვნის გამგეობა ფარს სჩადიან, რასაკვირველია მათ სოფლის კონტროლის გაწევაზეა მოცლა არ ექნებათ. თუ როგორმე ადგილობრივ ვინმე ხმოსან გლეხმა ერთ დასძრა და თქვა რაიმე თემის უკანონო მოქმედებაზე, მაშინვე დაემუქრებიან და მტრათ მიაჩნიათ ხალხის სიმართლის მთქმელი გლეხი.

ა—ძე.

### დაბ. სამტრედია.

სამტრედია ისეთ უნუგეშო მდგომარეობაშია გზების მხრით, რომ თუ მალე არ იქნა რაიმე ზომები მიღებული, მთელს ქალაქს-ადიდებული წყალი შთანთქავს.

სამი წელიწადია, რაც სამტრედია გაქალაქდა და ამ ხნის განმავლობაში არ შეკეთებულა გზები. ერთათ ერთი ხონის გზა, რომელზეც ამდენ ხანს შეიძლებოდა მოგზაურობა, ისეთ მდგომარეობაშია, რომ ახლა იქაც შეუძლებელი ხდება გავლა.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს წისქვილები [illegible] რაიონში, რომლებიც მრავლათ აგუბებს წყალს, რაც დიდს ზიანს აყენებს მახლობელ მოსახლეობას წყალდიდობის დროს, მდინარე რიონ გაღმა ერთათ-ერთი გზა, რომელიც სამტრედიას აერთებს ტობანიერის და მუხა-ყრუის რაიონებს, ძალიან უნუგეშო მდგომარეობაშია, ამასთანავე მდინარე რიონი სულ თხრის და ანგრევს ნაპირებს და სადაცაა ბევრ მოსახლესაც აყრის.

დაჩაგრული.

### ჯურუყვეთი

(გურია).

მენშევიკების სამეფოში „სამოთხეა" დამყარებული, მათი მტკიცებით ყველაფერი რიგზეა მოწყობილი და მშრომელი ხალხის ინტერესებიც დაცულია. მხოლოდ მართალია კი ეს? ამ საზოგადოების რამდენიმე წლის ერთი მეორის მოსისხლე და შეურიგებელი მტრები, მენშევიკ—ფედერალისტები, ეხლა მკჭიდრო—განუყოფელ ძმებივით შეხმატკბილებული მოქმედებენ და მათ ხელშია ამ საზოგადოების ბედ-იღბალი. იქნებ მენშევიკ ფედერალისტების ერთმანეთში ბრძოლის თავის დაღწევამ და მამა-შვილურად შერიგებამ რაიმე სიკეთე მოუტანა მშრომელ ხალხს? იმათი შემოქმედებითი მუშაობაა მხოლოდ კომუნისტების დევნა, ციხეებში გზავნა, გადასახლება და სხვა. მაგრამ ვიკითხოთ, კომუნისტების დევნის გარდა იქნებ სხვა საქმეს აკეთებენ რახმეს? ჯურუყვეთში ქურდობას, ცარცვა—გლეჯას და ავაზაკობას პირველი ადგილი უჭირავს. დიდ ყურადღებას იპყრობს ის, თუ რა ზომებს ღებულობს ამ საზოგადოების მართველები ქურდების წინააღმდეგ. აი ზომები: ქურდებს კოოპერატივებში ნოქრებათ, ან გამგებლათ აყენებენ, რომლებიც ხალხის ოფლით შეძენილ ქონებას ფლანგავენ და აქარწყლებენ. როცა კოოპერატივი გაიცლება და ხალხი აღელდება, მაშინ გამოცვლიან ერთს ქურდს და მეორეს უფრო დახელოვნებულს ფკრავენ თავს შიგ. ს. ბალღუფში (ოზურგის) კოოპერატივში დააყენეს ორი წლის პროფესიონალური ქურდი, რომელიც თვითონ აღიარებდა მე პროფესიონალური ქურდი ვარ, კლიენტების გაძარცვა ჩემი ხელობაა და სხვათ. ამ ვაჟბატონმა [illegible] [illegible] ხალხის ნაოფლარი (თუმცა აქამდი ფულ[illegible] ზიდავდა) და აუხსნად ცარცვა ნადავლით.

აი ასეთ პირებს აყენებს მართველი წრე ნოქრებათ, რომლებიც ტანჯული ხალხის ქონებას იტაცებენ. ბევრჯერ ლამ-ლამე გაუტეხიათ და გაუცარცვავთ კოოპერატივი. მაგრამ განა ამისთვის იწუხებენ თავს ისეთი პირები, როგორიც მოევლინენ მართველათ ამ საზოგადოებას? და მერმეთ ის პირები, რომლებიც გამოდის კრებაზე მენშევიკების კოლექტივის სახელით წვრილ ერთეულების არჩევნების დროს და ეუბნება ხალხს, მუშებს ხმა არ აქვს და არც გვესაჭიროება თქვენი ხმაო. ბატონებო, მიტომ არ გესაჭიროებათ მუშების ხმა, რომ მათი ნაოფლარით ქურდები და ავაზაკები გაასუქოთ? ნუ თუ თქვენ ფიქრობთ, ხალხი დაბრმავდა, ვერ გაითვალისწინებს ავ კარგს და პასუხს არ მოგთხოვთ ერთ დღეს?

ს. გურიელი.

### სოხუმი.

### თეთრ გვარდიელთა შტაბი მუშაობს.

დღიდან საქართველოს დამოუკიდებლათ გამოცხადებისა სოხუმის ოლქი და კერძოთ ქალაქ სოხუმი საუკეთესო ბაზაა კონტ-რევოლიუციონური შავი ძალების, რომლებსაც აქვთ საკუთარი სამოქმედო შტაბი. მე ვბმობ ეს ხდება დღიდან საქართველოს დამოუკიდებლათ გამოცხადებისა, აი რატომ.

რომელი სოხუმელი მოქალაქესთვისაა საიდუმლო ალექსანდრე შერვაშიძის და ტატაში მარშანიას ავანტიურა სოხუმის ოლქის მშრომელ ხალხის გასანადგურებლად წყურგილში ამოსხმული დესანტი; ეს ბელადები, ხალხის სისხლის მსმელნი, დღეს თავისუფლად დაწანწალებენ სოხუმის ქუჩებში როგორც საპატიო წევრნი საზოგადოებისა.

ეს „შინაურებია", გადვიდეთ „გარეშეებზე".

მას შემდეგ, რაც ძლევა მოსილი წითელი ჯარის მიერ იქნა გაწმენდილი გენერალ ყაჩაღთა ხროვისაგან ყუბან-თერგის ოლქები, აი ამ შავი ძალების საუკეთესო თავშესაფარ სადგურად ხდება ქალაქი სოხუმი და მისი ოლქი. ვისი წყალობით? აფხაზეთის კომისარიატის ბატონ პატრონების. მაისის ამ წლის რიცხვებში ამ შავ ძალებს მეთაურობდა გენერალი სულთან ქელიჩ გირეი და რომლების ლამაზ ცხენებით არა ერთხელ უნებებია გასეირნება ბ-ნ აფხაზეთის შინაგან საქმეთა კომისარს უბირიას, სამაგიეროთ ნიშნათ პატივის ცემისა სულთან გირეი აგვისტოს რიცხვებში აფხაზეთიდან „მარუხის" უღელტეხილით შვიდასი შეიარაღებული კაცით გადაბრძანდა საჩერქეზოში, წითლებთან საბრძოლველათ, რომლების შტაბი იყო მოთავსებული სიმონოვის დაჩაში. ესეც ყველამ იცის.

ვინ არ იცის ისიც, თუ რა მახინაცია დატრიალდა ოქტომბრის რიცხვებში ქ. გაგრაში. წითლების მიერ გადმოდენილი გენერალ ფოსტიკოვის ყაზახები—რიცხვით რვა ათასამდე კაცი შემოიხიზნენ საქართველოს ტერიტორიაზე. მერე სად უნდა გაგზავნილიყო ეს ხალხი? თანახმად რუსეთთან ხელშეკრულობისა, უნდა გაგზავნილიყო საკონცენტრაციო ბანაკში.

სასწაული ხდება, „განგებამ" მათ გენერალ ფოსტიკოვს და მის ყაზახებს მოუვლინა შეიარაღებული გემი ვრანგელის. „ულტიმატუმს" უყენებს გაგრის გარნიზონს გემის უფროსი, რათა დაანებონ ტყვე ყაზახები. ამაზე „არ დათანხმდა" გაგრის ადმინისტრაცია და ისაა ატყდა საშინელი „ბრძოლა", რის შემდეგ იქნა ყაზახების გასტუმრება ფეოდოსიაში და რამოდენიმე გაგრის მილიციონერიც დაიჭირა. თვით თურთმეტი ოქტომბრის სოხუმის მენშევიკური გაზეთი „ნაშე სლოვო" კი გადმოგვცემს: „გენერალ ფოსტიკოვის ყაზახები ფეოდოსიაში მშვიდობით მივიდნენო".

გასაკვირიც არაა, „დემოკრატიულ ავტონომიურ" აფხაზეთში თეთრ გვარდიელთა შტაბი მუშაობს...

ი. მედლიძე.

## ფონდი

მიღებულია გაზეთის ფონდის გასაძლიერებლათ. 1. თფ. ნოქრების ჯგუფისაგან — 800 მ., 2. თვლავის ორგანიზაციისაგან — 965 მ., 3. მეწავე გიგოიასაგან ამხანაგებთა შორის შეგროვილი — 300 მ. სულ 2065 მ.

სულ დღიდან ფონდის დაარსებისა 61.906 მან.

## ჩვენი ფოსტა.

**პრ. ტოქრნს:** არ დაიბეჭდება. გამოგზავნეთ სხვა.

**გურულ გლეხს სიოს:** არ გამოდგა. სხვა გამოგზავნეთ.

**იაგოს:** ამ თემაზე არ დაიბეჭდება. გამოგზავნეთ წერილები ადგილობრივ ცხოვრებიდან.

**პროლეტარს:** არ დაიბეჭდება. გამოგზავნეთ სხვა.

დრ. რედაქტორი: ლ. სუხიშვილი.

## განცხადებანი.


გამომცემლობა

„წითელი ვარსკვლავი"

**გამოსულია.**

1. ვინ არიან კომუნისტები, (ბოლშევიკები). ფ. 3 მ.
2. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი. ინტერნაციონალი მომაკვდავი და ინტერნაციონალი ამომავალი. ფ. 5 მ.
3. მ. კასპიელი: ვინ სტყუის? ფ. 10 მ.
4. ნ. ლენინი. ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში. ფ. 5 მ.
5. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი: ომი და სოციალიზმის კრიზისი. ფ. 20 მ.
6. მ. კასპიელი. ინტერნაციონალი და ომის საკითხი. ფ. 15 მ.
7. პროგრამა რუს. კომ. პარტიისა.
8. ბუხარინი. პროლეტ. დიქტატურა რუსეთში და მსოფლიო რევოლიუცია.

**იბეჭდება:**

9. ბუხარინი და პრეობრაჟენსკი. კომუნიზმის ანბანი.

**დამზადებულია დასაბეჭდათ:**

10. ზინოვიევი. პარტია და პროფესიონალური კავშირები.
11. მინინი. რელიგია და კომუნიზმი.
12. პეტროვიჩი. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
13. ნ. ბუქტორი, რით აიხსნება რუსეთში სოციალისტ. რევოლიუციის ადვილად გამარჯვება.
14. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნ. ცენტ. კომიტეტის მიმართვა კავშირისადმი 1850 წ.
15. კ. მარქსი. სამოქალაქო ომი საფრანგეთში 1870—71 წ.


საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3, მეორე სართული, ტელ. 8—91.

ცენტრ. კომ. ბიურო ღიაა დილის 11—1 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბილისის საგუბერნიო კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქუჩ. № 3, მეორე სართული. ტელ. 8—91.

ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩ., № 135.

ბიურო ღიაა საღ. 5—7 ნახ. საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მეორე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

ბიურო ღიაა დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მესამე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღიაა დილის 10—1 ნახ. საათამდე და საღამოს 5—7 ნახ. საათ.

ს. კ. პ. თბილისის მეოთხე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ), სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე.

სტამბა „ეკონომია" დიდიჟანჭის ქ. № 3.